

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

შორენა წიქარიძე

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სასამართლო ხელისუფლების
დამოუკიდებლობა საქართველოში

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ნიშნიანიძე

რეცენზენტები: პროფესორი შოთა დოდონაძე

ლევან ქობულაშვილი

დაცვა შედგება 2019 წლის ” ____ ” ივლისს, ___ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში ტექნიკური ხოლო
ავტორეფერატისა ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

Resume

The present thesis touches upon the question of the form of government of the Soviet Union's former countries (among them the main accent has been focused on Georgia), particularly the principles provided by the Constitution connected with the formation and interrelation of higher authorities of political and judicial powers.

By the end of the 20th century, the transit had been begun in Eastern European countries started the establishment process of new democratic institutions. The institutional changes had been conditioned by the post-communist democratic transit; these countries were transformed into an important observation area on constitutional political design of political systems.

The observation on Post-Soviet countries' experience about the constitutional politics of political system enables us to develop various theories and approaches, as in a transitional period constitutional principles of the political system politics rapidly changes, undergoes constant improvement based on accumulated experience. On studying of the given issues the crucial importance is attached to constitutional norms, as formal rules of political competences and procedures directly affect the functioning of political system.

In this context, the thesis discusses the three main institutions of political authorities - interrelations between the president, the Government and the parliament in the post-soviet countries, especially in Georgia, defined foundations by the Constitution and considered by problematic parties of the Georgian constitutionalism, a new formation of constitutional state system has been developed on the horizontal level of Georgia's governmental power political branches.

proposed in the thesis as the basis of this system of the governmental power politics, is mainly used the premier-presidential sub-typ of the semi-presidential model, due to the following conditions: a) this sub-type of semi-presidential model foresees dual structure of executive, in which Prime Minister is accountable to only Parliament and depends on its trust; b) Both political branches of the state government - President and Parliament, independently from each other, equally start from government's main source - the country's population; g) under premier-presidentialism the president can govern only through the legislature. Therefore, it was hypothesized that the president and the legislature were more likely to cooperate under premier-presidentialism than under president-parliamentarism.

The given features of the state system and structure of state power enables us to distinguish clearly the administration component of the executive branch (administration consisting of ministries) and political component (the government - the administration and the president in total). In our case, the administration provides the execution of current legislation, their realization and it is submitted under the parliament control and depends on it with the viewpoint of the length of access to power and being present in power. The State policy is directed by Government under which the government is bound by the President's power being independent from the Parliament and is balanced by administration. Therefore, the administration within the framework of the government acts as a sort of agent, which serves a balancing process of the Parliament policy (as the determinative body of state policy), directed by the

state's policy and in this way the limitation of president's independent political institution power as the executive branch of government. In our opinion, the given model may not occur within a typical semi-presidential system, conditioned with the Parliament membership and different kinds of situations, because within the executive branch there will be only one political body as the President. On the other hand, within the system formed in the thesis the government will be given extensive powers in the legislative process. But, due to the fragmented multi-party legislative authority for the purposes of facilitating the coordination of activities, including a substantial influence on the parliament's agenda, or consideration connected with the bill by sharing the elements characterizing the French model. In addition, for the purpose of law-making and the political process converted within the Parliament and authoritarian stumbling tendencies in executive power the government will not have the right even on urgent necessity to issue normative acts unforeseen circumstances by law, but the institutions of the executive power as Ministries will not have the right to issue regulations. Moreover, in Georgian reality we consider inadmissible the possibility of legal acts publication delegated by the executive power.

Accordingly, the legislative process should become an important area of cooperation between the legislative and executive powers, which in turn contributes to the horizontal level the relations between the different branches of government more coordinating initiatives, rather than confrontational tendencies.

All of these are important to Georgia's civil society, in particular, to acknowledge its own role in formation of public authorities and control its activities. In addition, the society should have the requirement for public authorities and an intervention should be predictable and as much as possible substantially normalized.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა: უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის შიგნით განუწყვეტელი რეფორმები მიმდინარეობს. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სასამართლო რეფორმას/მართლმსაჯულების რეფორმას უჭირავს. რეფორმების დასაწყისი დაკავშირებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებასთან, რითაც საქართველომ დეკლარირებული გახდა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ასევე ქვეყნის ძირითადი კანონით გაიწერა ხელისუფლების სამივე შტოს ფორმირების წესი, მათი უფლებები და ვალდებულებები. 1995 წლის კონსტიტუციის მიღების პერიოდიდანვე იწყება სასამართლო რეფორმის განხორციელებაც, რომელიც, სამწუხაროდ, თავდაპირველ ეტაპზე (გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლო პერიოდი) არც თუ სახარბიელო შედეგებით მიმდინარე-

ობდა. 1997-1999 წლების სასამართლო რეფორმის ჩავარდის მიზეზებად სახელდებოდა მოსამართლეთა მცირე ხელფასი, რომელიც ხშირად არც კი გაიცემოდა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობა, სხვა სტრუქტურებში რეფორმის არგატარება, ხელისუფლების ნების არარსებობა, ქვეყანაში არსებული კორუფციული გარემოს კიდევ უფრო გაუარესება.

“ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ეტაპზე კი პრაქტიკულად ახლებური მიდგომებითა და ახალი საკანონმდებლო ბაზის გამოყენებით დაიწყო ხელისუფლების ძირეული რეფორმები, რომელიც რამდენიმე წელს მიმდინარეობდა. აღნიშნული რეფორმებმა სახელმწიფო ორგანოების ყველა სფერო მოიცვა, მათ შორის სასამართლოც. მაგალითისთვის, ხელისუფლებამ 2004 წელს განახორციელა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც შეეხო 30-მდე მუხლს. მათ შორის, კონსტიტუციას დაემატა ახალი 41-ე მუხლი, ხოლო ამოღებული იქნა 91-ე მუხლი. აღნიშნული ცვლილებების შედეგად მივიღეთ სახელმწიფო მოწყობის ახლებული მოდელი, ე.წ. „ფრანგული მოდელი“, რა დროსაც გაძლიერდა პრეზიდენტის ინსტიტუტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში სწორედ პრეზიდენტი ნიშნავდა 10 წლის ვადით საერთო სასამართლოების მოსამართლეებს და ეს უკანასკნელნი პრეზიდენტის წინაშე დებდნენ მოსამართლის ფიცს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმა ამჟამადაც მიმდინარეობს. აღნიშნული საჭიროება გამოწვეული იყო საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე სასამართლო ხელისუფლების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად სწორედ საერთო სასამართლოების სისტემა დაექვემდებარა რეფორმას, რადგან სასამართლო ხელისუფლების წინაშე მრავალი გამოწვევა აღმოჩნდა. არაერთი გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ საზოგადოება უკმაყოფილო იყო განხორციელებული რეფორმის შედეგებით. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ცხადი იყო სამომავლოდ რა უნდა დაგეგმილიყო და როგორი მიმართულებით უნდა განვითარებულიყო სასამართლო ხელისუფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე სავსებით ცხადია, რომ თითოეული პოლიტიკური რეფორმა, ძირითად კანონში - კონსტიტუციაში რაიმე სახის ცვლილებისა თუ დამატებების განხორციელება, არსებით გავ-

ლენას ახდენს საჯარო მმართველობაზე, შესაბამისად, სახელმწიფო შტოების ურთიერთობაზე.

ნაშრომის აქტუალურობას წარმოადგეს საჯარო მმართველობის დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სასამართლო სისტემის ურთიერთობა, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ამ სისტემის ნაწილის, ურთიერთობის ახლებური მოდელის გააზრება და საკონსტიტუციო კონტროლის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა წრის მოწესრიგება, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედით სისტემად ჩამოყალიბება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში, რაც საჯარო მმართველობის სწორი მიმართულებით ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი ორგანოს არსებობის პრეცედენტი 1995 წლამდე საქართველოში არ ყოფილა, ამდენად გასაგებია, რომ ამ სასამართლო ორგანოს არსებობის ამ პერიოდის მანძილზე უკვე წარმოჩინდა რამდენიმე საკითხი, რომელიც თან ახლავს ქვეყანაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას. წინამდებარე ნაშრომში როგორც საკონსტიტუციო სასამართლოსთან, ასევე საერთო სასამართლოებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხებია განხილული, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო მმართველობაზე.

ხელისუფლების სამი შტო, მათ შორის სასამართლო ხელისუფლება, არის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი და მისი გამართული ფუნქციონირება წინაპირობაა სახელმწიფოს სწორი მიმართულებით განვითარების, ასევე ახალი გამოწვევების იდენტიფიცირებისა და წარმოქმნილი თუ არსებული პრობლემების აღმოფხვრის.

ამ წლების განმავლობაში სასამართლო ხელისუფლების მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ძლიერი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბება, რომელიც გააწონასწორებს დანარჩენი ორი ხელისუფლების შტოს მოქმედებას ისე, რომ თავად არ მოექცევა მათი ზეგავლენის ქვეშ.

ამ ეტაპზე არ არსებობს სასამართლო ხელისუფლების, სასამართლო

სისტემისა და ხელისუფლების დანარჩენი ორი შტოს შორის ურთიერთქმედებისა და ურთიერთგავლენის სიღრმისეული სამეცნიერო კვლევა იმ ასპექტში, თუ როგორ გავლენას ახდენს ასეთი ურთიერთობები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე და პირიქით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელისუფლების დანარჩენ ორგანოებზე რა გავლენას ახდენს. სახელმწიფოს შემადგენელი - საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოების სახით, რა გავლენას ახდენენ საჯარო მმართველობის განხორციელების დროს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ამასთან, როგორია ის უკუკავშირი, რაც ამ დროს წარმოიშობა და რამდენად შეუძლია სასამართლოს მიაღწიოს ან/და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა ასეთ შემთხვევებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული თემა იყო და არის აქტუალური და მნიშვნელოვანი, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღა“ ამჟამადაც მიმდინარე პროცესია. პრაქტიკულად 1997 წლიდან დღემდე არცერთ სახელისუფლებო შტოს არ შეხებია იმდენი სახელმწიფო რეფორმა და მისგან გამომდინარე ძირეული ცვლილებები, რამდენიც სასამართლო ხელისუფლებას. 20 წელზე მეტია მიმდინარეობს და ჯერად არ დასრულებულა სასამართლო რეფორმა, რომელსაც საზოგადოება ესოდენ მოთმინებით ელოდება.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების ფონზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობა სასამართლო ხელისუფლებასთან, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

1. თანამედროვე გამოწვევების ფონზე საქართველოს სასამართლო სისტემის თავისებურებების ანალიზი არსებული პრობლემების გამოსავლენად.
2. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისა და საკონსტიტუ-

ციო სასამართლოს უფლებამოსილებები და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვლევა.

3. სასამართლო ხელისუფლების შიგნით არსებული სუბიექტების - საერთო სასამართლოების სისტემისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ურთიერთქმედების, მათი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა.
4. ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

კვლევის საგანი: კვლევის საგანს წარმოადგენს აღნიშნული ურთიერთობის პრობლემური საკითხები, ასევე იმ ფაქტორების შესწავლა, რომელიც გავლენას ახდენს ზემოაღნიშნულ ხელისუფლების შტოებს ქმედებებს ერთმანეთთან, რაც საბოლოოდ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ჰპოვებს ასახვას.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობა საქართველოში საჯარო მმართველობის განხორციელების დროს მათ მიერ კონსტიტუციული უფლებამოსილების გამოყენებისას.

კვლევის მეთოდოლოგია: სახელმწიფო ხელისუფლების - საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობები სასამართლო სისტემასთან, ასევე ამ უკანასკნელის გავლენა ხელისუფლების სხვა ორგანოებზე გამოკვლეულია შედარებითი, ისტორიული, ლიგიკური ანალიზის, სტატისტიკური და სხვა მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომში განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს სისტემური მიდგომა, რაც იძლევა თანამედროვე საქართველოში სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობას ხელისუფლების სხვა შტოებს შორის მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების მთლიანობაში განხილვის შესაძლებლობას. დისერტაციაში დასმული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია კვლევის შედარებითი და თვისებრივი ანალიზის მეთოდები. განხორციელებული კვლევის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს

სასამართლო ხელისუფლებასთან და ასევე მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი მკვლევარების პუბლიკაციებში ასახული მეცნიერული კვლევის შედეგები, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, აგრეთვე, ამ პროცესებში გამოკვეთილი საერთაშორისო ტენდენციები.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ხელისუფლება წარმოადგენს ხელისუფლების შემადგენელ ნაწილს, ისევე როგორც საზოგადოების განუყოფელ ნაწილს, ამიტომ მნიშვნელოვანია ორივე კუთხით იქნეს გამოკვლეული სასამართლო ხელისუფლებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების ურთიერთობები. სასამართლო ხელისუფლება შედგება საერთო სასამართლოების სისტემისა და საკონსტიტუციო სასამართლოსგან, რომლებიც ხასიათდებიან კონკრეტული გეოგრაფიული, კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტით და გავლენას ახდენს სხვა საზოგადოებრივ სისტემებზეც. სწორედ ამიტომ თემაში გამოკვეთილი პრობლემური საკითხების კვლევის მიზნით, ზოგადმეცნიერული მეთოდის სახით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სისტემური მიდგომის გამოყენება. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში სასამართლო ხელისუფლება წარმოადგენს კომპლექსური, იერარქიული შინაგანი სტრუქტურის მქონე სისტემას, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტისაგან. ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება როგორც ერთიანი სუბიექტი, რომელიც თავის მხრივ შედგება ქვეელემენტებისგან, ქმნის ერთ მთლიან სუბიექტს, ბუნებრივია, რომ კვლევის პროცესში გამოყენებულია სისტემური მიდგომაც, რომლის საფუძველს ჰოლისტიკური¹ ხედვა წარმოადგენს, რაც სისტემის ელემენტებისა და მათი ურთიერთკავშირების ერთი მთლიანის კონტექსტში განხილვას გულისხმობს. დისერტაციაში დასმული მიზნის მისაღწევად, სასამართლო ხელისუფლების დამახასიათებელ თავისებურებათა გავლენის კვლევის მიზნით

¹ Holistic – სისტემის ელემენტებისა და მათი ურთიერთკავშირის ერთ მთლიან კონტექსტში განხილვა. <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/holistic>

გამოყენებულია ასევე შედარებითი და თვისებრივი ანალიზის მეთოდები. საინფორმაციო ბაზას კი შეადგენენ როგორც ქართული, ასევე საზღვარგარეთის მკვლევარების პუბლიკაციებში ასახული მეცნიერული კვლევის შედეგები, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები და უკვე არსებული გამოცდილების განზოგადება.

ამდენად, განსახილველი კვლევა ეყრდნობა პოლიტიკურ მეცნიერებებში გავრცელებულ და კარგად აპრობირებულ რამდენიმე მეთოდს. ესენია: ისტორიულ-შემეცნებითი, ლოგიკური, სისტემურ-სტრუქტურული, ფუნქციონალური, კონტენანალიზი, სიტუაციური ანალიზი, სინთეზი, დოკუმენტების შესწავლა და შედარება და ა.შ

გამოკვლევის მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული შედეგების და ძირითადი რეკომენდაციების ერთობლიობა, რომლებიც მოიცავს სიახლის ელემენტებს:

1. გამოვლენილია საჯარო მმართველობის დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობის ხარვეზები;
2. დასაბუთებულია სამომავლოდ საკანონმდებლო დონეზე თუ რა სახის ცვლილებები უნდა იქნეს განხორციელებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის;
3. გამოვლენილია საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს - საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენა ხელისუფლების სამივე შტოზე, მათ შორის, საერთო სასამართლოების სისტემაზე. ასევე შემოთავაზებულია ახლებური მიდგომა არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად როგორც სასამართლო ხელისუფლების შიგნით, ასევე აღნიშნული შტოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, როდესაც ეს უკანასკნელნი ახორციელებენ საჯარო მმართველობას;
4. ნაჩვენებია არსებული პრობლემების საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და სამომავლო შედეგები.

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

სასამართლო სისტემის ურთიერთობას ხელისუფლების სხვა ორგანიზებთან, ასევე არსებული ხარვეზების ანალიზს გააჩნია დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. საკითხის სწორი, ობიექტური ანალიზი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ამ საკითხის მკვლევარებს, ასევე მომავალ დოქტორანტებს სასამართლო სისტემის, ასევე საჯარო მმართველობის განხორციელების დროს სახელმწიფო შტოებს შორის შემდგომ კვლევასა და სალექციო კურსების შედგენაში.

მიღებული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე სასამართლო სისტემის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის საქართველოში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოების საელჩოების, ფონდების და საზოგადოებრივი კვლევის ცენტრების მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის მიერ სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას.

სადისერტაციო ნაშრომში მიღებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სასამართლო ხელისუფლების წინაშე არსებული გამოწვევები რეალურია და რომ უნდა მოხდეს ამ გამოწვევებისა და არსებული პრობლემების დარეგულირება, რასაც ხელს უნდა უწყობდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კვლევით დადგინდეს, თუ რა გავლენას მოახდენს მიმდინარე სასამართლო რეფორმები და სამომავლოდ დასაგეგმი რეფორმა სამივე შტოს ურთიერთობაზე, ასევე უშუალოდ საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში. ამავე დროს მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ურთიერთობები უშუალოდ ხელისუფლების შტოებს შიგნით და ასევე ერთმანეთთან მიმართებაში არსებული ურთიერთობები. შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებებით უნდა განხორციელდეს უკვე იდენტიფიცირებული პრობლემების ეფექტიანი გადაჭრა და ამავდროულად საჯარო მმართველობის განხორციელების დროს არსებული სახელმწიფოებრივი პრინციპებისა და ღირებულებების დაცვა და განვითარება.

სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და გაძლიერებას, მის ურთიერთობას ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოსთან, აღნიშნული დაეხმარება და უფრო მეტად განავითარებს სახელმწიფოს შიგნით არსებულ სახელისუფლო, მმართველობითი ღონისძიებების ქმედითად და ეფექტურად განხორციელებას საზოგადოების ყველა წევრის საკეთილდღეოდ.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან წლების განმავლობაში მიმდინარე რეფორმებიდან, სასამართლო სისტემის რეფორმა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. სწორედ მითითებული კვლევის ფარგლებში განხორციელდება ანალიზი, რაც გამოავლენს იმ ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე, ხოლო მომავალში სწორედ ამ მიმართულებით წარმართული სახელმწიფო პოლიტიკა უფრო მეტად იქნება შედეგიანი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ამიტომ კვლევის შედეგებს მნიშვნელობა ექნება თანამედროვე საქართველოში საჯარო მმართველობის განხორციელებისას, ასევე შესაძლებელი იქნება გამოყენებული იქნეს ამჟამად მიმდინარე სასამართლო რეფორმების მიმდინარეობის დროს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: მოცემული დისერტაცია მოიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 144 გვერდს. მისი ტექსტი შედგება: შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, ქვეთავების, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

ნაშრომის შინაარსი შემდეგია:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. საჯარო მმართველობა და სასამართლო ხელისუფლების რეფორმირების კონსტიტუციური ასპექტები საქართველოში

თავი II. სასამართლოს ინსტიტუციონალური ფუნქცია საჯარო მმართველობის სისტემაში

2.1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებ-

ბული მართლმსაჯულების რეფორმები

2.2. კონსტიტუციური მართლმსაჯულების როლი და გავლენა საჯარო მმართველობის სისტემაზე

2.3. სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების რეალიზაციის ფაქტორი საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში

თავი III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იმპლიმენტაცია ეროვნულ კანონმდებლობასა და მმართველობის სისტემაში

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია კვლევის თემის აქტუალობა, დასახულია კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და მეთოდები. წამოდგენილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებმა ასევე ასახვა ჰპოვა ამავე პერიოდში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაზე, ასევე უცხოელი თუ ადგილობრივი ექსპერტების შეფასებებზე, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს დღევანდელ საქართველოში არსებულ ვითარებაზე, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ამჟამადაც მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა.

ნაშრომის პირველი თავი, საჯარო მმართველობა და სასამართლო ხელისუფლების რეფორმირების კონსტიტუციური ასპექტები საქართველოში, შეეხება 1995 წლის კონსტიტუციის შემდგომ პერიოდს, როდესაც არაერთი ახალი კანონი იქნა მიღებული და განისაზღვრა ხელისუფლების შტოთა ფორმირების წესი, ასევე მათი უფლებამოსილებანი. თავდაპირველი რედაქციისა და ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის რედაქციის ანალიზის შედეგად განისაზღვრა სასამართლო ხელისუფლების ადგილი და როლი სახელისუფლებო სისტემაში. განმარტებულია საერთო სასამართლოების სისტემა და მისი შემადგენელი ელემენტები, საქართველოს საკონსტი-

ტუციო სასამართლო, მათი ფორმირების წესი, თითოეულის უფლებამოსილება, ის საკანონმდებლო ბაზა, რითაც მოწესრიგებულია საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემა. ასევე გამოკვეთილია პრობლემა სპეციალიზებული სასამართლოებისა და სამხედრო სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებით, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული.

ნაშრომის მეორე თავი შეეხება სასამართლოს ინსტიტუციონალურ ფუნქციას საჯარო მმართველობის სისტემაში. აღნიშნული თავის პირველი ქვეთავი ეხება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების რეფორმებს, რომელიც შესაძლოა პირობითად დაიყოს 1997-1999 წლების რეფორმად, 2004-2010 წლების რეფორმად და 2012 წლის შემდგომი პერიოდის რეფორმად. აღნიშნული რეფორმები გაანალიზებულია საჯარო მმართველობის კუთხით, რათა უკეთესად წარმოჩენილიყო თითოეული რეფორმის შედეგად რა გავლენა ჰქონდა ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს, ხელისუფლების სხვა შტოებთან მიმართებაში და რამდენად მნიშვნელოვანია რეფორმის სწორი დაგეგმვა და განხორციელება, რათა არ მოხდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხელყოფა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების ხარჯზე, ასევე პირიქით, არ მოხდეს სასამართლო ხელისუფლების იმდენად გაძლიერება, რომ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ყველა სფეროში საქმიანობაზე მოახდინოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით. ამავე თავში გაანალიზებულია, თუ რატომ დადგა 2012 წლის შემდგომ კვლავ დღის წესრიგში მართლმსაჯულების რეფორმა და ამჟამად რა მიმართულებით ვითარდება იგი.

მეორე ქვეთავი შეეხება კონსტიტუციური მართლმსაჯულების როლსა და გავლენას საჯარო მმართველობის სისტემაზე. აღნიშნულ ქვეთავში მიმოხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი, ასევე მისი უფლებამოსილება. ამავე ქვეთავში გაანალიზებულია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი საკონსტიტუციო კონ-

ტროლის განხორციელების დროს და მიღებული გადაწყვეტილებებით რა გავლენა შეუძლია იქონიოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე, ასევე საერთო სასამართლოებზე. ამავე თავში გადმოცემულია ჩვენეული ხედვა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდასთან, ასევე საკონსტიტუციო დონეზე უფლებამოსილებების ამომწურავად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ამავე თავში წარმოდგენილია სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც შეეხება ახლადგამოვლენილ თუ ახლადდამოჩენილ გარემოებებს, რაც საფუძველია განაჩენისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების. ასევე წარმოდგენილია ჩვენეული ხედვა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი და საჭირო ასეთ გარემოებად (უკვე არსებულ გარემოებებთან ერთად) სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიეთითოს, რითაც ნორმა ან ნორმის ნაწილი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობა.

მესამე ქვეთავში საუბარია სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების რეალიზაციის ფაქტორზე საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში. მითითებულ ქვეთავში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რაც დამახასიათებელია სამართლიანი სასამართლოსთვის. ასევე წარმოდგენილია ჩვენეული ხედვა უკვე არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რათა უფრო მეტად იყოს განმტკიცებული სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, რადგან მისი არსებობა და ეფექტურად მოქმედება სწორედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებაზეა დამოკიდებული, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანს უფლება აქვს მისი საქმე განიხილოს სამართლიანმა სასამართლომ, აღნიშნული სახელმწიფოს მიმართ წარმოშობს ვალდებულებას, უზრუნველყოს თითოეული ასეთი პირის მოთხოვნა სამართლიან სასამართლოსთან მიმართებაში.

ცალკე მესამე თავი აქვს დათმობილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იმპლიმენტაციის საკითხს ეროვ-

ნულ კანონმდებლობასა და მმართველობის სისტემაში. მითითებულ თავში განხილულია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა საქართველოს სახელმწიფოს სამივე შტოს საქმიანობაზე. ასევე განხილულია 2018 წლის აგვისტოში ამოქმედებული კონვენციის მე-16 ოქმი, რომელმაც საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება მისცა მათ წარმოებაში არსებულ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საკონსულტაციო დასკვნისთვის მიემართათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის. ასეთი დასკვნის გაზიარების შემთხვევაში სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნამ შესაძლოა პირდაპირი და უშუალო გავლენა გამოიწვიოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე.

ძირითადი დასკვნები:

ნაშრომი წარმოდგენილია პრობლემათა კომპლექსის სახით, რომლის ძირითადი მიზანია, გააშუქოს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები, რომელთა გადაჭრაც დამოკიდებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ვინაიდან ორივე მათგანი თავისი საქმიანობით ქმნის საჯარო მმართველობას, განზოგადებულია მათი ფუნქციები საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რა დროსაც ისინი გავლენას ახდენენ სასამართლო ხელისუფლებაზე. ასევე წარმოდგენილია შტოთა ურთიერთობის დროს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ჩვენეული ხედვები. სწორედ აღნიშნული ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით ჩვენს მიერ შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები:

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავი, სადაც საუბარია სასამართლო ხელისუფლებასა და პროკურატურაზე, უნდა ეხებოდეს მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებას, ვინაიდან პროკურატურა არ არის სასამართლო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი, ხოლო სასამართლო ხელისუფლება კი დამოუკიდებელია ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან;

2. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული სპეცილიზებული სასამართლოებისა და სამხედრო სასამართლოების შექმნის წესი და

უფლებამოსილება უნდა განისაზღვროს კონსტიტუციით, ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანილი კანონით კი დაწვრილებით განისაზღვროს თითოეული მათგანის შინაარსობრივი მხარე, ასევე მათი პროცესუალური ქმედებები;

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებანი ამომწურავად იქნეს ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუციაში;

4. 2004 წლისა და 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შესაბამისად გაძლიერდა რა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, სწორედ ამ უკანასკნელის, როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურის, კონტრასიგნაციას უნდა საჭიროებდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურა, რის თაობაზეც უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება;

5. მიზანშეწონილია გაიზარდოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და საკონსტიტუციო კონტროლი განხორციელდეს საჯარო მმართველობის განმახორციელებელი პირის ქმედებაზე, რომელსაც იგი ახორციელებს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს;

6. ასევე უნდა გაიზარდოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პრევენციული კონტროლის ფარგლების გაფართოვებით, რაც თავიდან აგვაცილებს არაკონსტიტუციური კანონისა თუ ნორმის მიღებას;

7. საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების წესი, რომელიც პრობლემატურია იმ დროს, როდესაც სასამართლო მხარეს უსაზღვრავს კონკრეტულ ვადას ვალდებულების შესასრულებლად, ამასთან ასევე საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს ძალადაკარდული ნორმის მოქმედებიდან ახალი ნორმის ამოქმედებამდე არსებული ვაკუუმი, რა დროსაც შესაძლებელია განმეორებით იქნეს ძალადაკარგული ნორმა გამოყენებული ან სხვაგვარად იქნეს დარღვეული პირთა უფლებები;

8. ცვლილება უნდა შევიდეს დღეს მოქმედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში, რომელიც ეხება ახლად აღმოჩენილი გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას, სადაც განახლების ერთ-ერთ საფუძველად უნდა მიეთითოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის მუხლი (მუხლის ნაწილი) ან/და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი (მუხლის ნაწილი).

9. ასევე ცვლილება უნდა შევიდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტში, რომელიც შეეხება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველებს, კერძოდ, არაკონსტიტუციურად ცნობილი სისხლის სამართლის კანონის გარდა უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა;

10. მიზანშეწონილი იქნება, თუ სასამართლო ხელმისაწვდომობის მიზნით არ იქნება წინასწარ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი, ასევე საკანონმდებლო დონეზე შესაძლებელი იქნება სამოქალაქო საქმეებზე განსჯადობის თაობაზე დავის წამოწყება და გაფართოვდება სავალდებულო დაცვის ფარგლები სამოქალაქო სამართალწარმოებაში;

11. მიზანშეწონილი იქნება, თუკი საქართველოს კონსტიტუციით იქნება განსაზღვრული როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური რაოდენობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხოვნობისა;

12. საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს მოსამართლეთა სოციალური გარანტიები, რომლებიც თანაბარი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მომუშავე მოსამართლეთათვის (დასარეგულირებელია კომპენსაციის საკითხი), მათ შორის, სასამართლო სისტემაში მომუშავე ყველა პირი უნდა იყოს სრულად სახელმწიფოს მიერ დაზღვეული და სარგებლობდეს შესაბამისი შეღავათებით.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი I – თანამედროვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (29.06.2015)
2. კოლოკვიუმი II – სამართლიანი სასამართლოს რეალიზაცია თანამედროვე სახელმწიფოში (25.02.2016)
3. კოლოკვიუმი III – საჯარო ხელისუფლების შეზღუდვა და საკონსტიტუციო კონტროლი (14.07.2016)

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. წიქარიძე შ. სამართლიანი სასამართლოს დამახასიათებელი ნიშნები თანამედროვე საქართველოში, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამეცნიერო ნაშრომების კრებული, 2018, N41, გვ. 164-171
2. წიქარიძე შ. საკონსტიტუციო კონტროლის რამდენიმე ასპექტი თანამედროვე საქართველოში, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამეცნიერო ნაშრომების კრებული, 2018, N42, გვ. 254-262
3. წიქარიძე შ. ნიშნიანიძე ნ. სასამართლო-საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის სოციალურ-სამართლებრივი შინაარსი და ორგანიზაციული საფუძვლები, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ 2015/4, გვ. 259-263

კონფერენციები:

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ხელისუფლება და საზოგადოება“. საქართველო. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2013 წ.